

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English

გარემოში ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები საქართველოში

შესავალი

მსოფლიოში სულ უფრო მატულობს გამოცდილება და გათვითცნობიერება იმისა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ერთის მხრივ, განვითარების ეფექტურობასა და მეორეს მხრივ, გაუმჯობესებულ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასა და ანგარიშვალდებულებას შორის. აღნიშნული კი, განსაკუთრებით თვალნათელია გარემოსდაცვით მმართველობაში, ანუ იმ სფეროში, სადაც ხდება ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს მიმართ ძალაუფლების გამოყენება. მართალაა, ინფორმირებულ და განათლებულ საზოგადოებას უკეთ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებაში მიღების პროცესში, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარემოზე; საზოგადოების ინფორმირებული და ფართო მონაწილეობა, თავის მხრივ, ეფექტური ინსტრუმენტია ეკონომიკური პოლიტიკის და ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი ინტერესების ინტეგრირებისათვის; საზოგადოების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კი ქმნის იმის საშუალებას, რომ გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა პასუხი აგონ თავიანთ გადაწყვეტილებებზე. ამდენად, საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

1992 წელს რიო-დე-ჟანიეიროში მიღებული „რიოს დეკლარაციის“ მე-10 პრინციპი აყალიბებს კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის ძირითად ინსტიტუციურ კომპონენტებს ნებისმიერი მმართველობითი მოდელისთვის. კერძოდ, დეკლარაციის მე-10 პრინციპის თანახმად (იხ. ჩანართი 1), მთავრობებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა სხვა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თავისი მოქალაქეებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შექმნან უფლებების შელახვის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები. ხელმისაწვდომობის სწორედ ეს სამი პრინციპი წარმოადგენს გამჭვირვალე, სამართლიანი და ანგარიშვალდებულებით მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფუძემდებლურ ნორმებს, რომლებიც ქმნიან კარგი გარემოსდაცვითი მმართველობის საფუძველს.

ჩანართი 1. რიოს დეკლარაცია, მე-10 პრინციპი

გარემოსდაცვითი საკითხების საუკეთესოდ გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ შესაფერის დონეებზე ყველა იმ მოქალაქის ჩართვით, რომელთაც ეხებათ ეს საკითხები. ეროვნულ დონეზე, თითოეული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოებში არსებული გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია სამიში მასალებისა და მათ თემებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ; თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. სახელმწიფოებმა, ინფორმაციის ფართოდ გავრცელების გზით, ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მონაწილეობას. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იურიდიული და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეფექტური ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სამართლებრივი დაცვის საშუალება.

საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა ხელისუფლების დემოკრატიზაციის მაჩვენებელია. საზოგადოებისთვის, თითოეული სოციალური ჯგუფისა თუ მოქალაქისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების მინიჭება გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლისა და დანახარჯების არათანაბარი გადანაწილებით გამოწვეული შედეგების გარკვეული კომპენსაციაა. მონაწილეობის უფლება საშუალებას იძლევა უკეთ იქნეს წარმოჩენილი ღირებულებები, სოციალურად დაუცველი ჯგუფების ინტერესები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თავისთავად, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების მონაწილეობა არ უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიღწევას, მაგრამ გამოცდილება ცხადყოფს, რამდენადაც ღია პოლიტიკური პროცესები და სახელმწიფო ორგანოები საზოგადოების მონაწილეობისადმი, მით უფრო მეტია გარემოსდაცვითი და განვითარების საკითხების ინტეგრირების შესაძლებლობები.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პროცესების სავსაობად ფართო სპექტრს მოიცავს, დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკის, პროგრამებისა და მოქმედო გეგმებისა თუ სამართლებრივი აქტების შემუშავებით, დამთავრებული კონკრეტული საქმიანობისათვის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. წინამდებარე საჯარო პოლიტიკის ნარკვევში ჩვენ, სწორედ, ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს, არსებულ პრობლემებსა და შესაძლო გადაწყვეტის გზებს განვიხილავთ.

1. კანონმდებლობის მიმოხილვა

ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს და გულისხმობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობებზე ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. ამ სფეროში კანონების მიღებას, გარკვეული დავიანებით, მოჰყვა კანონქვემდებარე აქტებით ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების უფრო დეტალური წესების დადგენა, თუმცა დეტალიზება არ შეხებია საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებს.

1.1 კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“

1997-2005 წ.წ. პერიოდში საქართველოში მოქმედებდა კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“, რომელიც ადგენდა **გარემოსდაცვითი ნებართვის** გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის ხარისხის შემოწმებისთვის (ანუ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისთვის) და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის კანონი ითვალისწინებდა სამი თვის ვადას. გარემოსდაცვითი ნებართვა გაციემოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით - ეს წესი შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. ამ პერიოდში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურა შემდეგი იყო:

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე განაცხადის (რომელიც მოიცავდა გზმ ანგარიშს) მიღებიდან 10 დღის ვადაში, ნებართვის გამცემი ორგანო (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) ვალდებული იყო:

- (ა) გამოეყვანებინა პრესაში ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის, საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ;
- (ბ) განაცხადის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში (სამი თვე), უზრუნველყო გზმ ანგარიშის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა;
- (გ) ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიეღო და განეხილა წერილობით ნარდგენილი კომენტარები;
- (დ) განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, ჩატარებინა საჯარო განხილვა.

ეს სისტემა, ასევე, ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ საქმიანობის ინიციატორს სამინისტროში განაცხადის ნარდგენამდე (ანუ გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული პროცედურის დაწყებამდე) თავად მოეწყო საჯარო განხილვა გზმ ანგარიშის პროექტზე კომენტარების მისაღებად. გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო საქმიანობის ინიციატორის უფლებამოსილება და არა ვალდებულება.

1.2 ორჰუსის კონვენცია

1998 წელს, საქართველოს მთავრობამ ორჰუსში (დანია), ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ - ე.წ. „ორჰუსის კონვენციას“. 2000 წლის 11 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, 2001 წლის 30 ოქტომბერს კი, კონვენცია ძალაში შევიდა საქართველოსთვის; ეს იმას ნიშნავს, რომ ამ თარიღიდან კონვენციის მოთხოვნებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში.

კონვენცია მოითხოვს, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილი საქმიანობებისა და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონედ მიჩნეული საქმიანობების შესახებ გადანაცვტილების მიღებისას, სახელმწიფო უწყებამ უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა. კონვენცია ადგენს საზოგადოების მონაწილეობის ძირითად პრინციპებს, კერძოდ:

- გადანაცვტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ არამართო დაინტერესებულ მხარეებს, არამედ მთლიანად დაინტერესებულ საზოგადოებას;
- საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადანაცვტილების მიღების საწყის ეტაპზევე, ანუ მაშინ, როდესაც დაგეგმილი საქმიანობის პროექტი შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა;
- საზოგადოების მონაწილეობისათვის უნდა იყოს დადგენილი გონივრული ვადები;
- მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას ეფექტურად უნდა მიეწოდოს, ანუ შეტყობინება გადანაცვტილების მიღების პროცესისა და მასში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, უნდა მიაღწიოს ყველა დაინტერესებულ პირამდე;
- საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ძირითადი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და გადანაცვტილების მიღების პროცედურის შესახებ, ასევე გადანაცვტილების მიმდებარე მიერ განსახილველი სრული დოკუმენტაცია;
- გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოებისათვის დადგენილი პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობას;
- გადანაცვტილების მიმდებარე უწყებამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი შენიშვნების სათანადოდ განხილვა და განხილვის შედეგების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- გადანაცვტილება ამა თუ იმ საქმიანობისათვის ნებართვის/ლიცენზიის გაცემის თაობაზე დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1997-2005 წლებში მოქმედი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარებოდა გზმ პროცედურას შეესაბამებოდა ორჰუსის კონვენციის პირველ დანართში მოცემულ საქმიანობებს და უფრო მეტიც, მოიცავდა ისეთ საქმიანობებს, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი კონვენციის დანართში. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული პროცედურა მეტნაკლებად აკმაყოფილებდა გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ორჰუსის კონვენციით დადგენილ პრინციპებს, თუმცა კონვენციით დადგენილი ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში სრულყოფილი ასახვისათვის, საჭირო იყო პროცედურების დახვეწა და კანონდარღვევების ეფექტურობის გაზრდა.

გასათვალისწინებელია, რომ ორჰუსის კონვენცია აწესებს გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ე.წ. „ქვედა ზღვარს“ და ამ კონვენციის მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ ისეთი კანონმდებლობის შემუშავებისკენ, რომელიც კონვენციით დადგენილ სტანდარტზე მაღალი იქნება. საქართველოს შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ ახალი კანონი, რომელმაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროც, ყველაზე უფრო გამოწვევით გაჩაღებული გარემო, საერთო წესების ქვეშ მოაქცია და გადანაცვტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა არათუ გააუმჯობესა, არამედ საერთოდ გააუქმა.

1.3 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონმა რადიკალურად შეცვალა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფერო. ერთგვარად სიმბოლური დატვირთვა მიიღო იმ ფაქტმა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით, „გარემოსდაცვითი ნებართვას“ ეწოდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“, ვინაიდან კანონით დამკვიდრებულმა ახალმა სისტემამ გარემოს დეგრადაციის და არა დაცვის შესაძლებლობები გაზარდა. ასე, მაგალითად, 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონისა და მის შესასრულებლად, 2007 წელს მიღებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის¹ ამოქმედებას შედეგად გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ერთ-ერთი

¹ ამ კანონის მიღებამდე ძალაში იყო დროებითი დებულება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ (დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგინებით). 2005 წლის დროებითი დებულებისა და 2007 წლის დეკემბერში მიღებული კანონის ნორმები პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ფაქტიურად, კანონმა ჩაანაცვლა დროებითი დებულება.

ყველაზე მაგნე ზემოქმედების მქონე საქმიანობა - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (გარდა ნავთობისა და გაზისა²) აღარ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გმშ) მომზადებას და დაინტერესებულ საზოგადოებასთან რაიმე სახის კონსულტაციას. დღეისათვის, საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის, მხოლოდ საჭიროა, ლიცენზიის მოპოვების მსურველმა ლიცენზიის გაყიდვის მიზნით გამართულ აუქციონებზე კონკურენტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვინაიდან მსგავს აუქციონებზე კონკურენცია იშვიათად შეიმჩნევა) მეტი თანხა გადაიხადოს. გმშ პროცედურას ასევე აღარ ექვემდებარება ისეთი საქმიანობები, როგორცაა, მაგალითად, ბირთვული რეაქტორებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის საწარმოები, ხე-ტყის გადამამუშავება, ქალაქის, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობა, ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, და სხვ. ასევე, გმშ-ს ჩატარება და შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ არის სავალდებულო, თუკი საქმიანობის განხორციელებას გეგმავს რომელიმე სახელმწიფო ორგანო.

საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, ყველაზე სავალალო ის არის, რომ ნებართვა, რომლის გაცემაც სახელწიფოს მიერ საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის გარეშე აკრძალული იყო, ახალი კანონით დაექვემდებარა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით 20 დღეში გაცემას. ეს წესი კი, გამორიცხავს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ყველანაირ შესაძლებლობას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის თანახმად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ნებართვის გამცემი ორგანო) არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი უზრუნველყოს ნებართვის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. ნებართვის გაცემაზე განაცხადის მიღების შემდეგ სამინისტრო არ არის ვალდებული:

- (ა) გამოაქვეყნოს ინფორმაცია გადანყვეტილების მიღების ადმინისტრაციული პროცედურის დაწყების შესახებ;
- (ბ) უზრუნველყოს გმშ ანგარიშის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა;
- (გ) მიიღოს და განიხილოს წერილობით კომენტარები (იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების წარმომადგენლებმა რაიმე გზით შეიტყვეს ადმინისტრაციული პროცედურის წარმოების შესახებ);
- (დ) ჩაატაროს საჯარო განხილვა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული პირი, თუკი პირმა რაიმე გზით (ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ვარაუდი, ან სამინისტროში პირადი კონტაქტების გამოყენებით მიღებული ინფორმაცია, ვინაიდან სამინისტროს არ ევალება და არც კეთილი ნება გააჩნია იმისა, რომ გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე) შეიტყო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გეგმის თაობაზე და წინასწარ წერილობით მიმართა უწყებას წარმოებაში ჩაბმის თხოვნით.

ასევე, სამინისტრო ვალდებულია გამოაქვეყნოს მხოლოდ მიღებული გადანყვეტილების ტექსტი. ვერძოდ, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში 2011 წელს შესული ცვლილებებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია გადანყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს მონაცემები ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ. ასევე, კანონში 2012 წელს შესული ცვლილებებით სამინისტრო ვალდებულია გადანყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ.

საზოგადოების ინფორმირებისა და გმშ ანგარიშის პროექტზე შენიშვნების მისაღებად საჯარო განხილვის ჩატარების ვალდებულებას კანონი საქმიანობის ინიციატორს უწესებს. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქმიანობის ინიციატორი ვალდებულია:

- გმშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა;
- გამოაქვეყნოს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.
- დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები;
- დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუადრეს 50 და არაუგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გმშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

კანონი ითხოვს, რომ საჯარო განხილვა მოეწყოს იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. კანონი ასევე აკონკრეტებს, რომ საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. კანონი არ აკონკრეტებს სად უნდა იყოს ხელმისაწვდომი გმშ ანგარიში განხილვის პერიოდის განმავლობაში.

გემოლანიშნული ნათლად აჩვენებს, რომ ხელისუფლებამ სრულიად მოიხსნა გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება. დღეისათვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ვალდებულება უკვე მიღებული გადანყვეტილების შესახებ ინფორმაციის 10 დღის ვადაში მინორებით შემოიფარგლება.

² ნავთობის და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესები (2002 წ.) ითვალისწინებს ნავთობის და გაზის ოპერაციების წარმოებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების და ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულებას. იგივე აქტი ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა არ განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს და მხოლოდ ზოგადი ფრამებით შემოიფარგლება.

2. წინააღმდეგობრივი სამართლებრივი ჩარჩო

დღეს, საქართველოში, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის კონტექსტისთვის მნიშვნელოვანი, შემდეგი ოთხი ძირითადი ნორმატიული აქტი (და მათგან გამომდინარე რამოდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) მოქმედებს:

1. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება - ძალაშია 2001 წლიდან;
2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის კანონი;
3. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ 2007 წლის კანონი; და
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წ.

ყურადსაღებია, რომ ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, 2005 წლიდან, ეროვნული კანონმდებლობა სრულ წინააღმდეგობაშია ქვეყნის მიერ 2001 წელს აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებასთან. კერძოდ, ორჰუსის კონვენცია ითხოვს, რომ საზოგადოება დროულად და ეფექტურად იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული ნარმოების წესით; ეს წესი კი, თავისთავად არ არის გათვლილი პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე.

2007 წელს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მიღებისას, კანონის ინიციატორები შეეცადნენ რამენაირად გადაეფარათ აქტებს შორის აშკარა წინააღმდეგობა და გამოიგონეს პროცედურა, რომელსაც „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა“ დაერქვა, თუმცა, მას არაფერი ჰქონდა საერთო დასახელებასთან. კანონის პირველ მუხლში, რომლითაც განისაზღვრა კანონის მოქმედების სფერო შემდეგი დებულება ჩაინერა: „კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს“. იქვე, კანონის მეორე მუხლში, კანონის მიზანად განისაზღვრა „საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლების - მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე, აგრეთვე გარემოსდაცვით სფეროში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა“. კანონის შესავალ დებულებებში დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების მიუხედავად, კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს ნებართვის გამცემ ორგანოში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. სანაცვლოდ, ის ავალდებულებს საქმიანობის ინიციატორს, მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - შესაბამისად, არც გამოსწორებას საჭიროებს.

გარდა იმ ფაქტისა, რომ უკვე თითქმის ათი წლის განმავლობაში, საქართველოში არ არსებობს ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურა, საგანგაშოა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავარი გარემოსდაცვითი ორგანო (და ასევე, ორჰუსის კონვენციის საკონტაქტო პირი ქვეყანაში) - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - თვლის, რომ ამჟამად მოქმედი ზემოთ აღწერილი სქემა, სრულად შეესაბამება ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - შესაბამისად, არც გამოსწორებას საჭიროებს.

3. პრაქტიკის მონიტორინგის ძირითადი მიზნება

გასული ერთი წლის განმავლობაში მწვანე ალტერნატივა თვალ-ყურს ადევნებდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემის პროცესს რათა, ერთი მხრივ, გამოეკვლინა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის არსებული შესაძლებლობის (მარტივი ადმინისტრაციული ნარმოების წესის) და კანონით დადგენილი „მონაწილეობის“ ფსევდო-პროცედურების (საქმიანობის განმარტაციის მიერ საჯარო განხილვის მოწყობის) ნაკლოვანებები, ხოლო მეორე მხრივ, წარმოეჩინა ცვლილებების აუცილებლობა. მონიტორინგის პროცესში ორგანიზაცია ასევე დახმარებას უწევდა დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოცულ ადგილობრივ თემებს დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და ასევე, ხელს უწყობდა მათ პროექტების განმარტაციის (ზოგ შემთხვევაში - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) წინაშე პროექტებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების წამოჭრის შესაძლებლობების გამოყენებაში.

3.1 „მონაწილეობის“ ფსევდო-პროცედურა

სხვადასხვა პროექტების განმარტაციის მიერ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი, საზოგადოების ინფორმირებისა და საჯარო განხილვის ორგანიზების პროცედურის განხორციელების ერთლწლიანი მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

(ა) საჯარო განხილვის შესახებ შეტყობინებების გავრცელება

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასევე, იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება - ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, პროექტების განმახორციელებლები, როგორც წესი, დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას 2014 წლის 1 იანვრამდე, გაზეთ „24 საათში“ აქვეყნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირების ეს მეთოდი არაეფექტურია საზოგადოების, განსაკუთრებით კი, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით (იმისათვის, რომ განცხადებამ მიაღწიოს ადრესატამდე, ადამიანი ყოველდღიურად უნდა ყიდულობდეს(!) გაზეთს), ეს ერთადერთი საშუალება იყო დაინტერესებული პირებისა თუ ორგანიზაციებისათვის, შეეტყობთ საქართველოში დაგეგმილი იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

2014 წლის 1 იანვრიდან გაზეთი „24 საათი“ აღარ გამოიცემა და ამდენად, საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ, თუნდაც, ამ ერთადერთი და შებღუდული გზით. აღნიშნულის თაობაზე მწვანე ალტერნატივამ მიმართა³

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მოსთხოვა საზოგადოების ინფორმირების ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ კერძო კომპანიის(!) ფუნქციონირების შესაძლებლობებზე.

აღნიშნულ მიმართვაზე პასუხად, მწვანე ალტერნატივამ მიიღო სამინისტროს ყოვლად შეუსაბამო განმარტება⁴ იმის თაობაზე, რომ ერთი რომელიმე გაზეთის დახურვა არ ნიშნავს, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა განცხადების გამოქვეყნებისათვის არ უნდა გამოიყენოს სხვა ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „24 საათი“ იყო ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ვრცელდებოდა საქართველოს მასშტაბით, ანუ შეიძლებოდა განხილულიყო ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოდ.

ამჟამად, დაგეგმილი საქმიანობების გზმ ანგარიშების (საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებული ანგარიშის ვერსია, რომელმაც ჯერ კიდევ შეიძლება განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები სამინისტროში წარდგენამდე - ანუ რეალური ადმინისტრაციული პროცედურის დაწყებამდე) და მათ განსახილველად დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის წყაროა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია სამინისტროს თანამშრომლების კეთილი ნებით (და არა კანონის მოთხოვნით) და როგორც წესი დაგვიანებით, ქვეყნდება.

(ბ) საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები

საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებული გზმ ანგარიშები (ანგარიშების პროექტები), როგორც წესი, ხელმისაწვდომია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და თავად საქმიანობების ინიციატორების ოფისებში, იშვიათად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებში. განსახილველი დოკუმენტები, არასდროსაა გათვლილი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტექნიკური საკითხების ცოდნისა და აღქმის შესაძლებლობებზე და არ შეიცავს პროექტის არატექნიკურ რეზიუმეს. რაც არ უნდა უცნაური იყოს, არატექნიკური რეზიუმეს წარდგენის ვალდებულება საქმიანობის განმახორციელებელს ეკოლოგიური ექსპერტიზის ეტაპზე, ანუ მაშინ აქვს, როდესაც დოკუმენტებს საკითხის პროფესიონალები უნდა იხილავდნენ.

(გ) საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი და დასწრების ხარისხი

საჯარო განხილვის შესახებ განცხადებების გამოქვეყნების ზემოთმოყვანილი პრაქტიკა და განსახილველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობასა და ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებს იმას, რომ საჯარო განხილვებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასწრება მინიმალურია და როგორც წესი, შემოიფარგლება ადგილობრივი თვითმმართველობის საგანგებოდ (როგორც წესი, დამსწრეთა რაოდენობის გაზრდის მიზნით) მიყვანილი თანამშრომლებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაერთ შემთხვევაში, მწვანე ალტერნატივას მიერ განხილვამდე რამდენიმე დღით, ან თუნდაც რამდენიმე საათით ადრე მოსახლეობასთან გასაუბრება და მათი ინფორმირება დაგეგმილი პროექტისა და საჯარო განხილვის შესახებ, საკმარისი იყო განხილვაზე ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზებისათვის. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადეკვატური კომუნიკაციის პირობებში, პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა, ყოველთვის დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს იმ საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მის საარსებო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

3.2 გაღაწყვეტილების მიღება - გარეგანი ადმინისტრაციული წარმოება

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რომლის ხანგრძლივობა, კანონით, არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება არ არის გათვლილი პროცესში საზოგადოების ჩართვაზე, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გამოაქვეყნოს თუნდაც ცნობა წარმოების დაწყების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ განსახილველ დოკუმენტებზე; თუმცა, ამავდროულად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ჩართოს პროცესში დაინტერესებული მხარე, თუკი უწყებაში წარდგენილია მისი პროცესში ჩართვის წერილობითი მოთხოვნა.

³ მწვანე ალტერნატივას მიმართვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ხათუნა გოგალაძეს „გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე დაგეგმილი პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მექანიზმის გაუმართაობის და ამის გამოქვეყნებულ უმოკლეს ვადაში ზომების გატარების აუცილებლობის თაობაზე“; http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/01/Open_appeal_to_MPENR_21_January-2014.pdf

⁴ იხ. http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/01/pasuxi_saministrodan.pdf

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სწორედ ამ დანაწესზე დაყრდნობით საქმიანობის ინიციატორის მიერ საჯარო განხილვის ჩატარების შემდეგ, მწვანე ალტერნატივა (ფაქტიურად, ლოგიკურ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ ნებართვის მაძიებელი ოდესმე მიმართავს ნებართვის გამცემ კომპეტენტურ ორგანოს) წინასწარ ითხოვს ხოლმე ამა თუ იმ საქმიანობისათვის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას; თუმცა, ორგანიზაციის პროცესში ასეთი ჩართვის გზა, საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობად.

მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ალტერნატივა წინასწარ წერილობით ითხოვს, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე, განსახილველი დოკუმენტების ასლისა და კომენტარებისათვის არსებული ვადის შესახებ ინფორმაციის მონიშვნას, როგორც წესი, შეტყობინება წარმოების დაწყების თაობაზე არასოდეს იგზავნება იმავე დღეს და არასოდეს ახლავს განსახილველი დოკუმენტები. განსახილველი დოკუმენტების ასლის მოპოვებაში, როგორც წესი, იხარჯება დამატებითი დღე და ასლის გადაღებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი. შედეგად, მწვანე ალტერნატივას გამოცდილებით, დაინტერესებულ პირს სულ მცირე 100 და ზოგჯერ, 600-გვერდიანი დოკუმენტის გაცნობისა და შენიშვნების მომზადებისათვის, საშუალოდ, 4-დან (ზოგჯერ ნაკლებიც) 8 დღემდე ვადა აქვს. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ამ ვადაში იგულისხმება კალენდარული დღეები, დასვენების დღეების ჩათვლით.

ამდენად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დროული, ადეკვატური და ეფექტური ჩართვის შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღების პირობებში, უბრალოდ არ არსებობს.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი, ასევე, გზმ-ს სისტემის მონიტორინგი და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მწვანე ალტერნატივას მონაწილეობის მცდელობების გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის პროცედურა საჭიროებს რადიკალურ და გადაუდებელ ცვლილებებს. კერძოდ, ჩვენი აზრით, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ნებართვის გაცემის პროცედურა, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის ნაცვლად, უნდა წარმოებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით;
- წიაღით სარგებლობა უნდა დაექვემდებაროს სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა;
- ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ორპუსის კონვენციის დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. ასევე, ჩამონათვალს უნდა დამატოს ყველა ის საქმიანობა, რომელიც არ არის კონვენციის ჩამონათვალში, თუმცა, განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია გარემოზე;
- საზოგადოებას უნდა მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ სტადიაზე, როდესაც ყველა შესაძლებლობა ღიაა. ამისათვის შემოდებულ უნდა იქნეს სკოპინგის პროცედურა;
- უნდა შემუშავდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ შეტყობინების გავრცელების ეფექტური მეთოდები; ანუ შეტყობინებამ უნდა მიაღწიოს ყველა დაინტერესებულ მხარემდე და მისცეს მას რეალური მონაწილეობის საშუალება. მაგალითად, შესაძლებელია შეტყობინების გამოქვეყნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, განცხადებების განთავსება სავალდებულო გახდეს ადგილობრივი თავშეყრის ადგილებზე, ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე, მაღაზიების, პოლიციის, სამედიცინო დაწესებულების, თვითმმართველობის შენობებზე და ა.შ. დაუშვებელია ასეთი სახის ინფორმაციის მოპოვებისათვის მოქალაქეებს უწევდეთ თანხის გადახდა (გაზეთის ყიდვის შემთხვევაში);
- დაგეგმილი საქმიანობის პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადეკვატური ინფორმაცია: როგორც საქმიანობის მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, ასევე, განსახილველი დოკუმენტების სრული ვერსია;
- განსახილველ დოკუმენტებზე კომენტარებისათვის უნდა დაწესდეს გონივრული ვადა. დაწესებული ვადა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდეს, გაეცნოს საქმიანობის შესახებ მოკლე ანოტაციას, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს დრო სრული დოკუმენტაციის მოპოვების, გაცნობისა და კომენტარებისათვის; ასევე, დრო საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ საჯარო უწყებამ მოასწროს წარდგინილი შენიშვნების განხილვა და საჯარო განხილვისათვის მომზადება;
- საჯარო განხილვები უნდა ჩატარდეს საქმიანობის განხორციელების ადგილებზე; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგის სპეციალისტების დიდი რაოდენობით კონცენტრირების გამო, აუცილებელია განხილვა დედაქალაქშიც ჩატარდეს. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ადგილებზე განხილვის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია, რომ ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას არ დასჭირდეს ტრანსპორტით სარგებლობა განხილვებზე მისასვლელად; ან თუ სხვა გამოსავალი არ არის, დაინტერესებული პირების უფასო ტრანსპორტირება განხილვის ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს;
- დასასრულს, აუცილებელია, გადაწყვეტილების მიმღებმა საჯარო დაწესებულებამ საზოგადოებას დაუყოვნებლივ აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. გადაწყვეტილების ტექსტი, იმ მოსაზრებებთან და შეხედულებებთან ერთად, რომელსაც ემყარება მიღებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის. ასევე, გადაწყვეტილების ტექსტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის „საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებათა ამსახველად.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)
საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების
განვითარება საქართველოში

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG